პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქ. ბათუმი „-----“ ---------- 2024 წელი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ახალგაზრდობის ქუჩა N18-ში, მე-4 სართულზე მდებარე N22 ბინის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, ახალგაზრდობის ქუჩა N18-ში, მე-4 სართულზე მდებარე 48,84 კვ.მეტრი N22 ბინა (საკადასტრო კოდი: 05.34.23.013.01.022).
2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ გადაცემული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში რეგისტრაცია.
3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. #30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **რამაზ ჯინჭარაძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, ახალგაზრდობის ქუჩა N18-ში, მე-4 სართულზე მდებარე N22 ბინის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2024 წლის 30 ივლისის N7344/02 (N07-1424212392-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2013 წლის 14 ნოემბრის N285 ბრძანებით შექმნილი ,,სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ მიერ 2018 წლის 22 ივნისის N21 საოქმო გადაწყვეტილების თანახმად, განხილულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სახელმწიფო, მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული და ფიზიკური პირების ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ქალაქ ბათუმში, ახალგაზრდობის ქუჩა N18-ში მდებარე უძრავ ქონებაში (ს.კ. 05.34.23.013) არსებული საცხოვრებელი ბინა N22-ის ფაქტობრივი მფლობელისათვის (მ.მ.) საკუთრებაში გადაცემის თაობაზე რეკომენდაციის გაწევის საკითხი.

აღინიშნა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების ფაქტობრივ მფლობელთათვის საკუთრებაში გადაცემის წესის“ მე-8 მუხლის მოთხოვნებს და აქედან გამომდინარე, ზემოხსენებული კომისიის 2018 წლის 22 ივნისის N14 რეკომენდაციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეთხოვა გაეტარებინა შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები ხსენებული უძრავი ქონების - ქ. ბათუმში, ახალგაზრდობის ქუჩა N18-ში, მდებარე უძრავ ქონებაში (საკადასტრო კოდი: 05.34.23.013) არსებული საცხოვრებელი ბინა N22-ის სახელმწიფო საკუთრებად აღრიცხვისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის მიზნით, იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლებით გადასაცემად.

აღნიშნულის გათვალისწინებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ განხორციელებულ იქნა ზემოხსენებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაცია სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შემდეგი მონაცემებით: ქალაქ ბათუმში, ახალგაზრდობის ქუჩა N18-ში, მე-4 სართულზე მდებარე 48,84 კვ.მეტრი N22 ბინა (საკადასტრო კოდი: 05.34.23.013.01.022), ხოლო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყო უძრავი ქონების საჯარო რეესტერში დარეგისტრირება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად.

ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა. შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში გადმოეცეს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ს.კ. 05.34.23.013.01.022). შემდგომში, იქ მცხოვრებ მოქალაქეზე (მ.მ.) საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

,,სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ 2018 წლის 22 ივნისის N21 ოქმით განიხილა და ამავე კომისიის 2018 წლის 22 ივნისის N14 რეკომენდაციის თანახმად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, ქ. ბათუმში, ახალგაზრდობის ქუჩა N18-ში, მე-4 სართულზე მდებარე 48,84 კვ.მეტრი N22 ბინა (საკადასტრო კოდი: 05.34.23.013.01.022) კერძო საკუთრებაში გადაცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის
უფროსი დ. კოპინაძე